საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
CENTRE FOR STATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA
ჩვენ 20 წლის ვართ | CSRDG is 20 years old

2-927
15/11/2016

საქართველოს პრემიერ-მინისტრ

ბ-ნ გიორგი კვირიკაშვილს

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა

და განვითარების ცენტრის

აღმასრულებელი დირექტორი

ეკა ურუშაძე

ბატონო გიორგი,

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), 2009 წლიდან პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, აქტიურად ვმუშაობთ საქართველოში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაციისა და სოციალური საწარმოს, როგორც სოციალური პრობლემების გადაჭრის ეფექტიანი მექანიზმის დანერგვის მიზნით.

სოციალური საწარმო წარმოადგენს მკვეთრად გამოხატული სოციალური მისიის მქონე ბიზნესს. ჩვეულებრივი ბიზნესისაგან განსხვავებით, ასეთი საქმიანობის დაწყებას განაპირობებს სოციალური მიზანი, ხოლო თავად ბიზნეს საქმიანობა არის ინსტრუმენტი საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად და სოციალური მიზნის მისაღწევად. ბიზნეს საქმიანობიდან მიღებული მოგება არ ნაწილდება მეწილეებზე, არამედ სოციალური მიზნის მიღწევაში რეინვესტირდება.

შესაბამისად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხელისუფლება ზრუნავს სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე, რადგან ამ გზით შესაძლებელია:

- ეფექტურად განხორციელდეს ინკლუზია და ეკონომიკური გაძლიერება საზოგადოების მოწყვლადი და ნაკლებად ინტეგრირებული ფენებისა, როგორიცაა შშმ პირები, კანონთან კონფლიქტში მყოფი ადამიანები, იძულებით გადაადგილებული პირები, ყოფილი ნარკოდამოკიდებული ადამიანები, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები და ა.შ;
- განვითარდეს საზოგადოების წინაშე არსებული გარემოსდაცვითი, კულტურული, საგანმანათლებლო და სხვა მსგავსი პრობლემების მოგვარების ახალი და ინოვაციური გზები.

ქ. თბილისი, 0177, დელისის I შესახვევი 5ª
ტელ/ფაქსი: (995 32) 2399019, 2399018 ელ.ფოსტა: office@csrdg.ge http://www.csrdg.ge
5ª Delisi 1st Lane., 0177 Tbilisi / Georgia
Tel./Fax: (995 32) 2399019, 2399018 E-mail: office@csrdg.ge http://www.csrdg.ge

რაც მთავარია, სოციალური მეწარმეობა არის აღნიშნული საკითხების გრძელვადიანი და სტაბილურად მოგვარების გზა, რაც თავის მხრივ ამცირებს ქვეყნის ბიუჯეტის სოციალური დახმარებების ტვირთს.

სოციალური მეწარმეობა საქართველოში წლიდან წლამდე ვითარდება, შეიქმნა საინტერესო მაგალითები, იზრდება ამ მიმართულებით მოქმედი ორგანიზაციების რიცხვი, რომელთაც დაუგროვდათ გარკვეული პრაქტიკა და გამოცდილება, გამოვლინდა შემდგომი განვითარების გამოწვევები და საჭიროებები. მოქმედ სოციალურ მეწარმეთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წელს უკვე დაფუძნდა საქართველოს სოციალურ საწარმოთა ალიანსი, რომლის ძირითადი მიზანია სექტორის შემდგომი გაძლიერება და სამოქმედო გარემოს განვითარება, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელია სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო რეგულირება.

ვთვლით, რომ მნიშვნელოვანია საკანონმდებლო რეგულირებაზე მუშაობა წარიმართოს საქართველოს ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამასთან დაკაშირებით, გთხოვთ შეხვედრას ჩვენი ორგანიზაციის და სოციალურ პსაწარმოთა ალიანსის რამდენიმე წარმომადგენელთან, რათა უკეთ გაგაცნოთ სოციალური მეწარმეობის კონცეფცია, სექტორის განვითარების მდგომარეობა საქართველოში, და გამოვკვეთოთ თანამშრომლობის შემდგომი პერსპექტივები.

პატივისცემით,

აღმასრულებელი დირექტორი

ეკა ურუშაძე

204873618